

ნარმანია : "ნაცმოს" დაფუძნებული არასამთავრობოები რას საუბრობენ , ჩემთვის ნაკვებად საინტერესთა

არ მაინტერესებს, რას ამბობენ "ნაცმოს" დაფუძნებული ორგანიზაციები, – ასეთი განცხადებით გამოეხმაურა თბილისის მერი დავით ნარმანია მერიის მოქმედ მაღარჩინოსანთა ნასამართლეობის შესახებ მონიტორინგის ცენტრ ,,მედიატორის'' მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

"ნაცმოს" მიერ დაფუძნებული ვითომ არასამთავრობო ორგანიზაციები რას საუბრობენ და რას მოგვიწოდობენ – ჩემთვის ნაკვებად საინტერესთა. არ მაინტერესებს, რას ამბობენ "ნაცმოს" მიერ დაფუძნებული ორგანიზაციები", – აღნიშნა დავით ნარმანიამ.

მონიტორინგის ცენტრ "მედიატორის" ინფორმაციით, თბილისის მერიაში ამჟამად წარსულში მძიმე დანაშაულებებისთვის ნასამართლევი პირები მაღარ თანამდებობებზე მუშაობენ.

კერძოდ, ერთ-ერთ ასეთ მაღარჩინოსნად, "მედიატორის" წარმომადგენელი მთაწმინდის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე საშვა სანაძეს ასახელებს, რომელიც 2006 წელს ქურდული სამყაროს წევრობისთვის გაასამართლეს.

მისივე თქმით, ნაძარადგვის მუნიციპალიტეტის საუბნო ერთეულის თავმჯდომარე ვასილ ბექაური საბურავის ქურდობისთვის იყო დაკავებული, ხოლო მერიის სოციალური სამსახურის უფროსი გედა ჩივიაშვილი 2011 წელს სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მითვისებისთვის იყო პასუხისგებაში მიცემული. ჩივიაშვილმა თავის დროზე დანაშაული აღიარა და მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა.